

ვახტანგ გზირიშვილის N173 საჯარო სკოლის მე-9 ა კლასის მოსწავლე თამარ
ტონია, 14 წლის

საქართველოს განვლილი გზა დამოუკიდებლობის მოპოვებისკენ, როგორ მოიპოვა დამოუკიდებლობა და შემდგომი მდგომარეობა, რეალურად რა შედეგი მოუტანა დამოუკიდებლობამ ქვეყნის საზოგადოებას, გათავისუფლდა თუ არა მისი აზროვნება და რამდენად დაუახლოვდა ის ევროპულ ღირებულებებს

საქართველოს ისტორია მრავალსაუკუნოვანი ბრძოლაა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის. XX საუკუნის ბოლოს მოპოვებულმა პოლიტიკურმა დამოუკიდებლობამ საქართველო ახალ გამოწვევებისა და შესაძლებლობების წინაშე დააყენა. წერილში ევროპელ თანატოლებს გავაცნობ საქართველოს დამოუკიდებლობის გზას, მის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ შედეგებს და შევაფასებ, გაათავისუფლა თუ არა დამოუკიდებლობის მიღებამ ქართული საზოგადოება აზრობრივად და დაუახლოვა თუ არა ქვეყანა ევროპულ ღირებულებებს.

საქართველომ დამოუკიდებლობისკენ პირველი მნიშვნელოვანი ნაბიჯი 1918 წელს გადადგა, როცა ქვეყნის ეროვნულმა საბჭომ დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკა გამოაცხადა. თუმცა 1921 წელს საბჭოთა ოკუპაციამ ეს მონაპოვარი გააუქმა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, 1953 წელს შეიქმნა ახალგაზრდული იატაკქვეშეთთა ორგანიზაცია „გორგასლიანი“, რომელიც საქართველოს ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის საფუძველად იქცა. ამას მოჰყვა ეროვნული მოძრაობის ხანგრძლივი და რთული გზა, ლიდერების დაპატიმრება, ქართული ენისათვის ბრძოლა 1978 წელს, 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედია. როგორც წესი „ბრძოლას ყოველთვის აქვს აზრი“ და ამ მრავალწლიანმა ბრძოლამაც თავისი შედეგი გამოიღო. 1990 წლის 28 ოქტომბერს საქართველოში ჩატარდა პირველი მრავალპარტიული, დემოკრატიული არჩევნები, სადაც დამაჯერებლად გაიმარჯვა გაერთიანებამ „**მრგვალი მაგიდა-თავისუფალი საქართველო**“. იმავე წლის 14 ნოემბერს შედგა ახლად არჩეული უზენაესი საბჭოს პირველი სესია, რომელზეც უზენაესი საბჭოს თავჯდომარედ ეროვნულ განმანთავისუფლებელი მოძრაობის ლიდერი **ზვიად გამსახურდია** აირჩიეს. ამ სესიაზე გაუქმდა სახელწოდება „საქართველოს სსრ“ და ქვეყანას ეწოდა საქართველოს რესპუბლიკა, დამტკიცდა ეროვნული ჰიმნი და სახელმწიფო დროშა. 1991 წლის 31 მარტს საქართველოს რესპუბლიკაში ჩატარდა რეფერენდუმი ერთადერთი შეკითხვით: „ხართ თუ არა თანახმა აღდგეს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, 1918

წლის 26 მაისის აქტის საფუძველზე?“-საარჩევნო ხმის უფლების მქონე მოსახლეობის 98%-მა სარეფერენდუმო შეკითხვას გასცა დადებითი პასუხი. შედეგად 1991 წლის 9 აპრილს მიიღეს დამოუკიდებლობის გამოცხადების აქტი და საქართველო გახდა დამოუკიდებელი სახელმწიფო.

დამოუკიდებლობის მოპოვებას თან ახლდა სოციალური და ეკონომიკური კრიზისი, სამოქალაქო ომი, ეთნიკური კონფლიქტები და ტერიტორიული დანაკარგები, რაც გამოწვეული იყო რუსეთის ფედერაციის მიერ ქვეყნის შიდა საქმეებში ღია ჩარევით, როგორც პოლიტიკურად ასევე სამხედრო ძალით, რუსეთი ცდილობდა მაქსიმალურად შეეშალა ხელი საქართველოს, როგორც დამოუკიდებელი ქვეყნის განვითარებითვის.

2003 წლის ვარდების რევოლუციის შემდეგ ქვეყანა გადაეშვა დასავლური განვითარების გზაზე, დაიწყო რეფორმები, სახელმწიფო ინსტიტუტების გაძლიერება და დაიწყო ევროკავშირთან დაახლოება (2023 წელს საქართველომ მიიღო ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი, რაც მის დასავლურ ორიენტაციაზე მიუთითებს). საზოგადოება გათავისუფლდა საბჭოთა აზროვნებისგან, განხორციელდა მედიის პოპულარიზაცია და ახალგაზრდობის უფრო კრიტიკული აზროვნების ჩამოყალიბება.

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ გაზარდა სიტყვის თავისუფლება ქართულ საზოგადოებრივ აზროვნებაში, თუმცა ჯერ კიდევ შემორჩენილია ავტორიტარული მიდგომები, ეთნონაციონალიზმი და ტოლერანტობის დაბალი დონე. მართლმადიდებლური ეკლესიის გავლენა მაღალია საზოგადოებაში, რაც ზოგჯერ წინააღმდეგობაში მოდის ევროპულ დემოკრატიულ ღირებულებებთან.

თავისუფლება და დამოუკიდებლობა არის ორი განუყოფელი ცნება. ქვეყნის პროგრესი დამოკიდებულია არა მხოლოდ მის პოლიტიკურ მიმართულებაზე, არამედ იმაზეც, თუ რამდენად შეძლებს საზოგადოება გადალახოს წარსულის შიშები და გახდეს თანასწორი და თვითკრიტიკული. მომავალი თაობა ცვდილობთ, რომ გავაკეთოთ ყველაფერი იმისათვის, რათა ვიყოთ უფრო მეტად დამოუკიდებლები და თავისუფლები, მეტად ვიყოთ დაკავშირებული ევროპასთან და ვიყოთ ყველა დამოუკიდებელი სახელმწიფოს თანასწორი.

Georgia's path to independence: how it was achieved, what impact it had on society, and whether it brought the country closer to European values.

The history of Georgia is a centuries-long struggle for freedom and independence. At the end of the 20th century, the political independence gained by Georgia brought the country to face new challenges and opportunities. In this letter, I will introduce to my European peers the path of Georgia's independence, its political and social consequences, and I will evaluate whether gaining independence freed the Georgian society mentally and whether it brought the country closer to European values.

Georgia took the first significant step toward independence in 1918, when the National Council of the country declared an independent democratic republic. However, in 1921, the Soviet occupation abolished this achievement. After the Second World War, in 1953, an underground youth organization called "Gorgasliani" was founded, which became the basis of Georgia's national-liberation movement. This was followed by a long and difficult road of national movement, the arrest of leaders, the fight for the Georgian language in 1978, and the tragedy of 9 April 1989. As it's usually said, "a fight always has meaning," and this long struggle also had positive consequences. On 28 October 1990, the first multiparty democratic elections were held in Georgia, where the union "Mrgvali Magida-Tavisufali Sakartvelo" won. On 14 November, 1990, the first session of the newly elected Supreme Council was held, where the leader of the national liberation movement, Zviad Gamsakhurdia, was elected as the chairman of the Supreme Council. At this session, the name "Georgian SSR" was abolished and the country was called the Republic of Georgia; the national anthem and country flag were approved. On 31 March 1991, a referendum was held in the Republic of Georgia with a single question: "Do you agree with the restoration of Georgia's state independence based on the Act of 26 May 1918?"—98% of the eligible population gave a positive answer to the referendum question. As a result, on 9 April 1991, the Act of Independence was adopted and Georgia became an independent country.

Gaining independence was accompanied by social and economic crisis, civil war, ethnic conflicts and territorial losses, which were caused by the open interference of the Russian Federation in the internal affairs of the country—both politically and militarily. Russia tried to hinder as much as possible the development of Georgia as an independent country.

After the Rose Revolution of 2003, the country plunged into the path of Western development, reforms began and the process of rapprochement with the European Union started (in 2023 Georgia received the status of a candidate for EU membership, which points to its Western orientation). The society was freed from Soviet thinking, there was a significant growth in media coverage, and critical thinking started to form among the youth.

After gaining independence, freedom of speech increased in Georgian social thinking, although authoritarian approaches, ethnonationalism and low levels of tolerance still remain. The influence of the Orthodox Church is high in society, which sometimes contradicts European democratic values.

Freedom and independence are two inseparable concepts. A country's progress depends not only on its political direction, but also on how much the society is able to overcome the fears of the past and become equal and self-critical.

We, the new generation, are trying to do everything so that we can be more independent and free, more connected to Europe, and equal to every other independent country.